ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ. იმის გამო, რომ გრძელდება ომი და უცხოეთის ინტერვენცია ინდოჩინეთში და ჭიანურდება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება. ისინი გამოთქვამენ იმედს, რომ ახლანდელ მოლაპარაკებას უთუოდ მოჰყვება მოწესრიგება. შეხვედრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ძალიან უახლოვდება ერომთანეთს მათი შეხედულებანი ასეთი მოწესრიგების თაობაზე, და შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირი და საფრანგეთი კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა ხელი შეუწყონ ვიეტნამის პრობლემის უსწრაფეს პოლიტიკურ გადაწყვეტას. მათი აზრით, ინდოჩინეთის ხალხებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ დამოუკიდებლად განაკონ თავიანთი ბედი უცხოეთის ჩაურევლად ჟენევის 1954 და 1962 წლების შეთანხმებათა პრინციპების შესაბამისად.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის ვითარება საშიში რჩება. ისინი კვლავ აცხადებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია უნდა შესრულდეს. ისინი მომხრენი არიან, რომ ამ რეზოლუციის შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა გ. იარინგმა, რომელსაც უშიშროების საბჭომ დაავალა ხელი შეუწყოს ამ მოწესრიგებას, განაგრძოს თავისი მისია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, რაც ითვალისწინებს, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან და ყველა დაინტერესებულმა ქვეყანამ ცნოს ამ რაიონის თვითეული სახელმწიფოს სუვერენიტეტი, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, აგრეთვე პატივი სცენ ამ რაიონის ყველა ხალხის, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის უფლებებსა და ინტერესებს.

შეხვედრის მონაწილენი იმ აზრისა არიან, რომ ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და მშვიდობიანი განიარაღების — განიარაღების ყოველგვარ ღონისძიებათა საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის საჭირო უწინარეს ყოვლისა ატომური განიარაღების საკითხების განხილვა. სსრ კავშირსა და საფრანგეთს სასურველად მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ეს უშუალოდ ეხებათ, შეათანხმონ თავიანთი პოზიციები ამ მხრივ. ორივე ქვეყანამ უკვე მხარი დაუჭირა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას. ისინი გამოთქვამენ იმედს, რომ ახლო მომავალში შეიქმნება მისი წარმატებისათვის საჭირო პირობები.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპებისადმი და ხაზს უსვამენ იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც ანჭებენ ისინი ამ ორგანიზაციას მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ ადასტურებენ, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებას. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური კონსულტაციები ორ ქვეყანას შორის გადაიქცა საბჭოთა კავშირ--საფრანგეთის თანამშრომლობის მუდმივ ელემენტად, რასაც მოწმობენ ეს უმაღლესი დონის ხაუბრებიც. ასეთი კონსულტაციები სასარგებლოა, და არის მათი შემდგომი განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობანი.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ, დარწმუნებული არიან რა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კონსულტაციები შეესაბამება ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის სასარგებლოდ სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის ინტერესებს, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წაახალისონ მათი შემდგომი განვითარება და ხელი შეუწყონ იმას, რომ ეს კონსულტაციები მოიცავდეს საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრობლემებს. სსრ კავშირი და საფრანგეთი, კერძოდ, რეგულარულად გაუზიარებენ ერთმანეთს აზრებს ევროპის მდგომარეობის განვითარების შესახებ.

მხარეებმა აღნიშნეს პროგრესი სამრეწველო-ეკონომიური თანამშრომლობის დარგში მას შემდეგ, რაც 1969 წელს დადო შეთანხმება სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ, და დაადასტურეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის მისწრაფება გააორკეცონ საქონელბრუნვის მოცულობა 1970-1974 წლებში.

ეკონომიური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც სსრ კავშირისა და საფრანგეთის მთავრობებმა მოაწერეს ხელი ლ. ი. ბრეჟნევის პარიზში ვიზიტის დროს, ამჟამად შემუშავებულია და უახლოეს ხანში ხელს მოაწერენ ამ დარგებში ათი წლის პერიოდისათვის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის გაღრმავების პროგრამას.

განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის ძირითადი პროექტები. ამ განხილვის შესაბამისად მიღწეულია შეთანხმება ორივე მხარის კეთილნებყოფილი ღონისძიებების შემდგომი აქტივიზაციის შესახებ ვაჭრობის მოცულობის გადიდებისა და სამრეწველო-ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან წაახალისონ ღონისძიებანი, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებას ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

უაღრესად დადებითი შეფასება დაიმსახურა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობამ მეცნიერულ და ტექნიკურ დარგებში, კერძოდ, ისეთ დარგებში, როგორიც არის კოსმოსი, ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება და მაღალი ენერგიების ფიზიკა. ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ბევრი დარგი სასავაჭროთ შესაძლებლობებს ერთობლივი მოქმედებისათვის. კერძოდ, გადაწყვეტილია შეისწავლონ კოსმოსის დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობა და განაგრძონ სხვა დარგებში, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებში დამყარებული თანამშრომლობა, სადაც მას უკვე დადებითი შედეგები მოჰყვა.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ ადასტურებენ მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებენ კულტურული გაცვლის განვითარებას. მათ შეეხებული აქვთ ინტერესი, რომელსაც სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხები იჩენენ ერთმანეთის უკეთ გაცნობისადმი, და მიაჩნიათ, რომ თანამშრომლობა კულტურის დარგში შეიძლება გაფართოვდეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ხელშეწყობ საფუძველს უქმნიან ურთიერთგაცვლის განვითარებას. მხარეებმა განაცხადეს, რომ აპირებენ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ მიმართულებით, ამასთან მხედველობაში აქვთ ორი ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების ხელშეწყობა.

ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ მხარს უჭერენ სამხედრო ხაზით ვიზიტების გაცვლის განგრძობას.

მხარეები გამოთქვამენ კმაყოფილებას შეხვედრის შედეგების გამო, რომელმაც დაადასტურა უმაღლესი დონის კონსულტაციების ქმედითობა, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის საუცხო ატმოსფერო, მისი მეგობრული ხასიათი, და მიზანშეწონილად მიაჩნიათ განაგრძონ და განვითარონ ამგვარი კონტაქტები. ამასთან დაკავშირებით ჟ. პომპიდუმ, მადლობა გადაუხადა რა ლ. ი. ბრეჟნევს მასპინძლობისათვის, რაც გაუწიეს სსრ კავშირში ყოფნის დროს, და იმ გულთბილი ვითარებისათვის, რომელშიც მიმდინარეობდა საუბრები, მიიწვია იგი საფრანგეთში, რათა განაგრძონ აზრთა ურთიერთგაზიარება იმ ვადებში, რომლებსაც დამატებით შეათანხმებენ. ამ მიწვევას ლ. ი. ბრეჟნევი მადლობით დათანხმდა.

ფაქტები

● **ავიაკომპანია „ტრანს უორლდ ეირლაინს“** თვითმფრინავი „ტრაისტარი“, რომელშიც 82 მგზავრი იყო, იძულებული გახდა დამჯდარიყო ნევადის შტატს ლას-ვეგასის აეროპორტში. ამ ინციდენტის მიზეზი ის იყო, რომ თვითმფრინავმა ფრენის დროს დაკარგა სამი რეაქტიული ძრავიდან ერთი ძრავი. საბედნიეროდ თვითმფრინავის არც ერთი მგზავრი არ დაშავებულა.

● **იაპონიაში გასული წლის** დეკემბერში გამართული პარლამენტის არჩევნების დროს ფართოდ იყენებდნენ ამომრჩეველთა მოსყიდვას და საარჩევნო ბრძოლის სხვა უკანონო საშუალებებს, იუწყება პოლიციის მთავარი სამმართველო. უმრავლესობას, რომლებმაც დეპუტატის მანდატები ასეთი აკრძალული ხერხებით მიიღეს, მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები შეადგენენ.

სულ საარჩევნო კამპანიის დროს, პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, აღირიცხა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევის 8.000-ზე მეტი შემთხვევა და თითქმის 15 ათასი კანონის დამრღვევი.

● **მეძრთაბეობა, ბამოკალვა,** ყალბი დოკუმენტების გაკეთება, სხვადასხვა მაქინაცია იმდენად გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო აპარატის მაღალი თანამდებობის პირთა შორის, რომ ეს ქვეყნის ფარული საზოგადოებრივობის შეშფოთებას იწვევს.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, 1969 წლიდან განსასჯელის სკამზე მოხვდა ნიუ-ჯერსის შტატის 70 მაღალი თანამდებობის პირი, მსჯავრდადებულთა შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრი ნიუ-ჯერსის შტატისაგან, ამავე შტატის საკანონმდებლო კრების 5 დეპუტატი, 7 ქალაქის მერი, 6 მუნიციპალიტეტის წევრი, ორი მოსამართლე და ორი პროკურორიც კი.

● **„ბ-52“ ბომბდამშენის** მფრინავს მაიკლ ჰეკს მოელის სამხედრო ტრიბუნალი იმისათვის, რომ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვაში. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა, რომელმაც აგრეთვე თქვა, რომ ჰეკი „ბ-52“ ბომბდამშენის პირველი მფრინავია, რომელმაც უარი თქვა შესასრულოს სარდლობის ბრძანება ვიეტნამის დაბომბვის შესახებ.

ნიუ-იორკი

სირიის პროტესტი

11 იანვარი. (საკდესი). სირიის მთავრობამ მტკიცე პროტესტი გამოცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელი არ წყვეტს აგრესიის აქტებს, რასაც მოსდევს დიდი ნეგვევა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა.

სირიის მთავრობის დაკვალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში, სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰ. კილანმ მოიყვანა ისრაელის არაპროვოცირებული აქტების გრძელი ნუსხა, რომლებიც ისრაელმა ჩაიდინა ამ ბოლო თვეებში სირიის წინააღმდეგ. ისრაელის აგრესიული მოქმედება, აღნიშნულია წერილში, განსაკუთრებით გაძლიერდა გასული წლის სექტემბრიდან, როცა შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ემობს ტელ-ავივის აგრესიულ აქციებს და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

სირიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები სულ უფრო ღრმად იჭრებიან სირიის საჰაერო სივრცეში და აფრთხილებენ პროვოკაციების მასშტაბს, რაც მოწმობს ისრაელის აგრესიულ ექსპანსიონისტურ ზრახვებს.

კილანმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სირიის მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა ისრაელის 8 იანვრის თავდასხმის მსხვერპლი, წერილში აღნიშნულია, თუ რა უკიდურესად სერიოზული ვითარება შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში იმ აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის გამო, რომელსაც ტელ-ავივი აგრესიულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ.

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 12 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა მიიღო ტაივანის „ვიეე-პრეზიდენტი“ იან ძია-განი, რომელიც ვიზიტითაა ვაშინგტონში.

როგორც განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელ მ ა, პრეზიდენტმა გადუთქვა მას, რომ შეერთებული შტატები „განაგრძობს დიპლომატიურ ურთიერთობას, აგრეთვე მეგობრულ კავშირს“ ტაივანთან და „მტკიცედ შეასრულებს თავის თავდაცვითს ვალდებულებებს“.

რ. ნიქსონის წერილი

ვაშინგტონი

კონგრესისადმი

12 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს მიმართა წერილით, რომელშიც სთხოვა კიდევ ერთი წლით — 1974 წლის 30 აპრილამდე — გაუგრძელოს მოქმედების ვადა „კანონს ეკონომიური სტაბილიზაციის შესახებ“. ეს კანონი მიღებულ იქნა ამერიკის მთავრობის „ახალი ეკონომიური პროგრამის“ ფარგლებში და ითვალისწინებდა ისეთი „საბანგეო ღონისძიებების“ შემოღებას, როგორიცაა ხელფასის, ფასებისა და საპროცენტო ქირის გაყინვა, ხოლო შემდეგ მათზე კონტროლის დაწესება.

ამ პროგრამის განხორციელების მსვლელობაში, რომელიც თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 90 დღით, ხოლო შემდეგ 1973 წლის 30 აპრილამდე გაუგრძელდა ვადა, კონტროლი მმრომელთა ხელფასისადმი განსაკუთრებით მკაცრი იყო, მაშინ როდა მონოპოლიები მთავრობის ორგანოების თანხმობით განაგრძობდნენ ფასების გადიდებასა და მოგების ზრდას. როგორც „საგანგებო ეკონომიური პოლიტიკის პირველმა ორმა ფაზამ ცხადყო, მისი მიზანია მმრომელი მასების ახალი ეკონომიური გაჭირვების ფასად სცადონ ამერიკის ეკონომიის სტაბილიზება, ინფლაციის შემცირება, ამერიკის საქონლის კონკურენტუნარიანობის გადიდება მსოფლიო ბაზარზე და დოლარის გამაგრება.

დასახული მიზნები ვერ განახორციელეს — ინფლაცია ქვეყანაში გრძელდება, ფასების ზრდა შეადგენს საშუალოდ 3 პროცენტს წელიწადში. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სურსათ-სანოვაგის ფასები. უმუშევრობის დონე ისევ მაღალია — 5.2 პროცენტი. რეკორდულად მაღალ დონეს მიაღწია სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა, მარეკლობს დოლარი.

„ეკონომიური სტაბილიზაციის“ მესამე ფაზა, რომელიც გამოცხადებულია ვაშინგტონში, ითვალისწინებს რამდენადმე შეიცვლილი სახით შეინარჩუნონ კონტროლი ხელფასისა და ფასებისადმი. მათი გადიდება ახლა შეიძლება მოხდეს მთავრობის წინასწარი ნებართვის მიუღებლად. მართალია, მთავრობა უფლებას იტოვებს იხმაროს საჭირო ღონისძიებანი, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული მომატება „დასაშვებ“ დონეს აღემატება.

ძალაში რჩება ფასებისა და ხელფასისადმი იერარქიული კონტროლი დარგებში, რომლებიც სურსათის გადამუშავებას ეწევიან, და სურსათის საცალო გაყიდვის სისტემაში, სამედიცინო მომსახურების სფეროსა და სამშენებლო მრეწველობაში.

უმუშევრებ ხელფასის საბჭო და ფასების კომისია. „ეკონომიური სტაბილიზაციის“ პროგრამის მესამე ფაზის მიმდინარეობას ხელმძღვანელობას გაუწევს ცხოვრების ღირებულების საკითხთა საბჭო. მის დირექტორად დანიშნულია ჯ. დანლოპი.

საქართველო

რეაქციონერთა პროვოკაცია

11 იანვარი. (საკდესი). როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის პრესსამსახური იუწყება, უცნობმა პირებმა ასაფეთქებელი ნივთიერება დაუღეს ჩოლეს საბჭოთა კავშირთან კულტურულ ურთიერთობის ინსტიტუტის ფილიალის შენობის კარს ქალაქ ვალპარაისოში. აფეთქებამ დაზიანა შენობა, მეზობელ სახლებს კი მინები ჩაემსხვრა.

პოლიცია აწარმოებს გამოძიებასა და ეძებს დამნაშავეებს.

ბრძოლები ინდოჩინეთში

გუანთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები ყოველდღე აქტიურებენ საბრძოლო ოპერაციებს ამერიკა-საგონის ჯარების წინააღმდეგ.

ფიცხელი ბრძოლები გრძელდება მეკონგის დელტაში. გუშინ განთავისუფლების შეიარაღებული ძალების სარაკეტო-საარტილერიო ქვეგანაყოფები განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს მტრის ჯარების დასაყრდენ პუნქტებს ქალაქების მიტჰოს, ჩიტონის რაიონში, აგრეთვე ტიონგბთხეინის პროვინციის მთელ რიგ გამაგრებულ სოფლებს. ამის შედეგად დახოცილი და დაჭრილია მტრის 100-მდე ჯარისკაცი. არტილერიის გამოყენებით დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა მეკონგის დელტის სხვა პროვინციებშიც.

შეუთავარი ბრძოლები გრძელდება კუანგჩის პროვინციაში. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა 128-ე მაღლობის ძირში, სადაც საიგონის საპარაშუტო საღესანტო ჯარები ცდილობდნენ იერიში მიეტანათ პატრიოტთა პოზიციებზე. მძლავრი და სწრაფი კონტრიერიშებით განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა საწყის მოჭიდებზე დაამარცხეს მარიონეტები. ორი დღის ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგეს დაუბოცეს და დაუჭრეს 380-ზე მეტი კაცი, გაუნადგურეს 15 საარტილერიო დანადგარი, 4 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, 2 თვითმფრინავი.

სურათზე: კუანგჩის პროვინციაში პატრიოტთა მიერ ჩამოგდებული ამერიკელთა ვერტმფრენი.

ვია-საკდესის ფოტო.

ნაციზტი ჯალათები თავისუფლად არიან

ბონი

11 იანვარი. (საკდესი). კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

დასავლეთგერმანიაში დამთავრდა ექვსი ნაციზტი დამნაშავის სასამართლო პროცესი, რომელიც თითქმის ორ წელს მიმდინარეობდა. ეს ნაციზტი დამნაშავენი ომის დროს სისხლიან დანაშაულს სჩადიოდნენ. ამ ფაშისტმა ჯალათებმა მხეცურად დახოცეს 90 ათასზე მეტი მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვები.

სასამართლომ ცნო, რომ „4-ბ“ რაზმის ბორტგამოქმედება ჯამორჩეულად განსაკუთრებული სისასტიკით. დამსჯელები თავიანთ მსხვერპლთ ჩაამწკრივებდნენ ხოლმე ორმოს პირას და ხვრეტდნენ სხვა, აგრეთვე სიკვდილმასჯილ საბჭოთა მოქალაქეების წინაშე, იყენებდნენ „სახუთავების“, რომლებშიც ადამიანებს გამნაბოლქვი გაზებით ახრჩობდნენ.

თუმცა განსასჯელთა დანაშაული, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საბჭოთა ადამიანების მასობრივ ხოცვა-ელეტაში, მთლიანად დადასტურდა, მაგრამ სს-ის ყოფილ შტურმანფიურერებს გ. გერმანსა და ფ. ბრაუნეს მხოლოდ 7 და 9 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. სს-ის ყოფილ უნტერშტურმფიურერს ჯ. ზომერფელდს მიუსაჯეს 6 წლის პატიმრობა, სს-ს ყოფილ უნტერშტურმფიურერს ვ. ებერტს 5 წლის, ყოფილ სს-ელს ვ. ჰუას — 3,5 წლის პატიმრობა, ერთი დანაშაული გაამართლეს.

საოცარია, მაგრამ მსჯავრდადებული ნაციზტი ჯალათები განაჩენის გამოტანის შემდეგ წავიდნენ არა საპატიმროში, არამედ... თავიანთ სახლებში. სასამართლოს, იმასთან დაკავშირებით, რომ მათ „დიდი საწინდარი“ შეიტანეს და „ითვალისწინებს მსჯავრდებულთა ასაკს“, მიაჩნია „საშიშროება აღარ არის, რომ დაიმალებიანნი“. პროკურატურამ მათ პირადობის მოწმობებიც კი დაუბრუნა.

ნიუ-იორკი

სირიის პროტესტი

11 იანვარი. (საკდესი). სირიის მთავრობამ მტკიცე პროტესტი გამოცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელი არ წყვეტს აგრესიის აქტებს, რასაც მოსდევს დიდი ნეგვევა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა.

სირიის მთავრობის დაკვალებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში, სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰ. კილანმ მოიყვანა ისრაელის არაპროვოცირებული აქტების გრძელი ნუსხა, რომლებიც ისრაელმა ჩაიდინა ამ ბოლო თვეებში სირიის წინააღმდეგ. ისრაელის აგრესიული მოქმედება, აღნიშნულია წერილში, განსაკუთრებით გაძლიერდა გასული წლის სექტემბრიდან, როცა შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ემობს ტელ-ავივის აგრესიულ აქციებს და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

სირიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები სულ უფრო ღრმად იჭრებიან სირიის საჰაერო სივრცეში და აფრთხილებენ პროვოკაციების მასშტაბს, რაც მოწმობს ისრაელის აგრესიულ ექსპანსიონისტურ ზრახვებს.

კილანმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სირიის მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა ისრაელის 8 იანვრის თავდასხმის მსხვერპლი, წერილში აღნიშნულია, თუ რა უკიდურესად სერიოზული ვითარება შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში იმ აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის გამო, რომელსაც ტელ-ავივი აგრესიულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ.

ტოკიო

ბრძოლა ნარკომანიის

ინგლისის შეიარაღებულ ძალებში სწრაფი ტემპით ვითარდება ნარკომანია. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე სამხედრო ტრიბუნალების მიერ გასამართლებულ ნარკომანთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. სულ რამდენიმე დღის წინათ სამართალში მისცეს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ექვსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მსახურობდნენ ნატოს საიდუმლო სამხედრო ბაზაში პატრინგტონში (ორჩესტრის საგრაფო). ნარკომანია ინგლისის არმიაში, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ძალებში ისეთი ფართო მასშტაბით ვრცელდება, რომ მასთან საბრძოლველად ბრიტანეთის სამხედრო სარდლობამ შექმნა სპეციალური განყოფილება, იუწყება გაზეთი „დეილი მეილი“.

გადავარჩინოთ კენგურუ

ავსტრალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზადდება კანონპროექტი, რომელიც აკრძალავს ქვეყნიდან ყველა სახეობის კენგურუსა და ოშვიათი ცხოველის ტყავისაგან დამზადებული სხვადასხვა საგნის ექსპორტს. ეს ღონისძიება ბორციელდება გაწყვეტისაგან კენგურუს გადასარჩენად... ყოველ წელს 5-7 მილიონამდე კენგურუ ხდებოდა ბრაკონიერთა მსხვერპლი, რომელთაც კენგურუს ტყავის მაღალი ფასი იზიდავდა.

საქმე ის არის, რომ ამ ცხოველის ტყავი ოკეანეგადმელ მოდის მოყვარულთა ოცნების საგანი გახდა. ამ ტყავისაგან ამზადებენ ჭურჭებს, საყელურებს, ქუდებს. კენგურუს ხორცს აკონსერვებდნენ და გაჰქონდათ ძაღლების საჭმელად.

კანონპროექტი, რომელსაც მალე მიიღებენ, ითვალისწინებს დიდ ჯარიმას და სხვადასხვა ხახის ხასჯელს კენგურუს მოკვლისა და ქვეყნიდან ცხოველის გატანის ცდისათვის. აკრძალავა გავრცელდება აგრეთვე ავსტრალიის ბინადარ ყველა სახეობის ფრინველზე.

ციხეში საათნახევრით

ძალაქ ოკლაჰომას (აშშ) სასამართლოში ირჩევდა საქმე, რომელიც ეხებოდა ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევას.

მოულოდნელად ყველამ დაინახა, რომ ერთ-ერთ ნაციც მსაჯულს ჩაეძინა. დაცვამ მაშინვე კატეგორიულად მოითხოვა განაჩენის გაუქმება. მოსამართლე იძულებული გახდა დათანხმებოდა ადვოკატს და თავისი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ჩაძინებული მსაჯულისათვის მიეხაჯა ცხრა საათნახევრით, იუწყება რეიტერის სააგენტო.

რადიომეუყარულის ცნობა

მექსიკელმა რადიომოყვარულმა მიიღო ცნობა თავისი კოლეგისაგან, რომ უზარმაზარმა მოქცევარმა ტალღამ პირისაგან მიწისა აღგაგა მებადურთა სოფელი კოლუმბიაში. სოფელი ბაია დე სოლანი წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობდა.

გრიპის ეპიდემია

„ლონდონური“ გრიპის ეპიდემია კვლავ ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. როგორც „დაავადებებისადმი კონტროლის ეროვნული ცენტრი“ იუწყება, მარტო ნიუ-იორკში დეკემბრის ბოლო კვირაში გარდაიცვალა ვირუსული გრიპით დაავადებული 102 ავადმყოფი. ჩრდილოეთ კალიფორნიაში იანვრის პირველ კვირაში გრიპის შედეგად გარდაიცვალა 57 კაცი, ბალტიმორაში კი ამავე კვირაში აღინიშნა გრიპით გამოწვეული 29 სიკვდილის შემთხვევა (საკდესი).

სასაგებლო სახელმძღვანელო

ტექნიკური ლიტერატურის სიახლენი

ამომცემლობა „განათლება“ გამოსცა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ბ. კელენჯერიძის შრომა „მანქანათსამშენებლო საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა“, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტებისათვის სპეციალობით „მანქანათმშენებლობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა“ (რედაქტორი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ბ. ბაბიძეშვილი). წიგნი შედგება ხუთი განყოფილებისაგან, 24 თავისაგან და შეიცავს 343 გვერდს.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, თანამედროვე მანქანათსამშენებლო ქარხნებში ინჟინერ-ეკონომისტის როლი დღითიდღე იზრდება. სარეცენზიო ნაშრომის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ იგი ამომწურავ პასუხს იძლევა ამ დარგის საწარმოთა ორგანიზაციისა და ღაგეგმვის კურსის მოქმედი პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა საკითხზე და მომავალ ინჟინერ-ეკონომისტებს ნათელ წარმოდგენას უქმნის არა მარტო იმ

50 წლის გიგლა ფირცხალავას

ლიეიდით ნათქვაები სიტყვა



ვის არ შესრულებია ორმოცდაათი წელი, მაგრამ ვინ არის იგი, ვინც „ამ ხუმრობა-ხუმრობაში ორმოცდაათი წლისა გახდა?“

გიგლა ფირცხალავა! — მოქანდაკე გრაფიკოსი, კარიკატურისტი, დაბადებული 1922 წელს ქალაქ ფოთში...

ამბობენ, რომ იუბილარმა თავისი პირველი კარიკატურა ოცდათორმეტი წლის წინათ შექმნა. არსებობს სხვა შეხედულება, რომელიც ასეთ ფაქტს ემყარება: თოთხმეტი წლის გიგლა ფირცხალავას შეუქმნია „მასწავლებლის პორტრეტი“! ამ მოვლენის უკვდავსაყოფად ავტორი დაუყოვნებლივ გაურიცხავთ სკოლიდან, მაგრამ დასაჯელებული ნაშრომის უაღრესი ნიჭიერების წყალობით ნორჩი მხატვარი სხვა სკოლაში მიუღიათ. საფიქრებელია, რომ „სხვა“ სკოლის პედკოლექტივის დამოკიდებულებას ავტორისა და მისი „მასწავლებლის პორტრეტის“ მიმართ იუმორი განსაზღვრავდა. თუ ეს ასეა, მაშინ გიგლა ფირცხალავას პირველი კარიკატურა ოცდათხუთმეტი წლის წინათ შექმნილა!..

საქართველოს მხატვართა კავშირი და გამომცემლობა „მერანი“ საკმაოდ გათვითცნობიერებული არიან იმაში, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე (ჩვენში და უცხოეთში) გიგლა ფირცხალავას ყოველი ახალი ნამუშევარი. ამიტომ ამ დაწესებულებების გადაწყვეტილება — მიმდინარე წლის 14 იანვარს „მერნის“ სალონში გახსნან იუბილარის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა — უნდა აიხსნას მათი ცნობისმოყვარეობით, თუ რა შთაბეჭდილებას დატოვებს გიგლა ფირცხალავას ყველა ნამუშევარი ერთად, ავტორის თანდასწრებით. ერთობ მისასალმებელი დაინტერესებაა და ჩვენ, როგორც საქმეში ჩახედულებს, ამ მოვლენასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვა გვაქვს სათქმელი.

ადვილი შესაძლებელია, რომ გამოფენის დათვალიერების პროცესში ყური მოჰკრათ რომელიმე ენაწყლიან ხალავას პირველი კარიკატურა ოცდათხუთმეტი წლის წინათ შექმნილა!..

საქართველოს მხატვართა კავშირი და გამომცემლობა „მერანი“ საკმაოდ გათვითცნობიერებული არიან იმაში, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე (ჩვენში და უცხოეთში) გიგლა ფირცხალავას ყოველი ახალი ნამუშევარი. ამიტომ ამ დაწესებულებების გადაწყვეტილება — მიმდინარე წლის 14 იანვარს „მერნის“ სალონში გახსნან იუბილარის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა — უნდა აიხსნას მათი ცნობისმოყვარეობით, თუ რა შთაბეჭდილებას დატოვებს გიგლა ფირცხალავას ყველა ნამუშევარი ერთად, ავტორის თანდასწრებით. ერთობ მისასალმებელი დაინტერესებაა და ჩვენ, როგორც საქმეში ჩახედულებს, ამ მოვლენასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვა გვაქვს სათქმელი.

ადვილი შესაძლებელია, რომ გამოფენის დათვალიერების პროცესში ყური მოჰკრათ რომელიმე ენაწყლიან ხელოვნებათმცოდნის გამოთქმებს: „დანახვის უნარი“, „დეტალის გრძნობა“, „ხაზის გამომსახველობა“, „ფორმისა და სიბრტყის ფლობა“, „პუბლიცისტური შემართება“, „მებრძოლი ჰუმანიზმი“ და სხვ. იცოდეთ, რომ ზემოხსენებულ პიროვნებას საიუბილეო ბანკეტზე მოსვედრის წყურვილი ალაპარაკებს, ხოლო გიგლა ფირცხალავას შემოქმედებითი და სოციალური მახასიათებლების საცოდნელად უნდა მივმართოთ მის იუბილესთან დაკავშირებით გავრცელებული ანეკდოტის შედეგებს. სხვათა შორის, ანეკდოტის ერთ-ერთ კითხვაზე, „რით შეგიძლიათ ახსნათ იუბილარის ნამუშევართა გამომსახველობითი სიძლიერე?“, — პასუხების გადამწყვეტი უმრავლესობაა „იგეთი კაცია!“ საოცარი დამთხვევაა — ჩვენც ამავე აზრისა გახლავართ!

საქვეყნოდ ცნობილია გიგლა ფირცხალავას დევიზი: „იყავი ნიჭიერი და ადგები თეთრმეტ საათზე“. ეს განსაცვიფრებელი თვალთმაქცობა გამოგონილია ისეთი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად (ჩვენში და უცხოეთში), ვითომ იუბილარი ყველაფერს გენიოსის სიმსუბუქითა და „ხუმრობა-ხუმრობით“ აკეთებდეს. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გიგლა ფირცხალავა დილის შვიდ საათზე დგება, დღეში თორმეტ საათს მისჯილივით მუშაობს და ზემოთ ნახსენები დევიზი ნიჭიერების მანიით შეპყრობილთათვის აქვს შეთხზული...

რაც ზემოთ ითქვა, გიგლა ფირცხალავას შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ცხოვრების პირველ მესამედს ეხება.

ვნახოთ, რას მოგვეტანს დარჩენილი ორი მესამედი!

ბაბუა ამირეჯიბი.

შეკრება-სემინარი გრძელდება

ბაკურიანი. („კომუნისტის“ სპეც. კორ. რ. ჭელიძე). მართალია, 11 იანვარს საერთაშორისო ბანკ „თანამგზავრში“, რომელიც მზიურ ველზე მდებარეობს, საზეიმო გითარებაში დაიხურა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენელთა ტრადიციული შეკრება-სემინარი, მაგრამ ბანაკი როდი დაცარიელებულა.

ახალგაზრდა მწერლებმა, მხატვრებმა, არქიტექტორებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა, ჟურნალისტებმა სასაუბრო დარბაზი საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერებს დაუთმეს, რომლებიც იმავე დღეს ჩამოვიდნენ ბაკურიანში.

ახალგაზრდა შემოქმედთა შეკრება-სემინარის მუშაობის ბოლო დღე ლიტერატორებს მიეძღვნა. მანამდე კი გაიმართა ჟურნალისტთა, მუსიკოსთა, მხატვართა და არქიტექტორთა, თეატრის, კინოს დღეები.

◆

მიფრინავს „კოსმოსი-543“

1978 წლის 11 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-543“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

თამარის ხიდი სოფელ ცხომორიაში (ქედის რაიონი).
ვ. მითაიშვილის ფოტო.

დეპუტატები ამოერჩევლებთან

ორჯონიკიძე. (ს.ა. კორ.). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა ვ. მურუსიძეკ, ზოოვეტერინარული საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მამათელაშვილმა, იაროსლავ კოლმეურნეობის ფერმის მწველადმა ნ. კვირიკაშვილმა და მარილისის გრეხილი ავიჯის ფაბრიკის მუშამ ც. მაღრაძემ ამ დღეებში ანგარიში ჩააბარეს ამომრჩევლებს.

გაიმართა ვულღია საუბარი, საქმიანი სჯა-ბაასი. ამომრჩევლებმა მ. გაბუნიამ და ზ. შარიქაძემ მოითხოვეს, რომ რკინიგზის № 10 საშუალო სკოლას მიაშენდეს სპორტული დარბაზი. სადგურ მარელისთან რკინიგზაზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის დაჩქარება და სატელევიზიო გადაცემების მოწესრიგება მოითხოვეს ამომრჩევლებმა ვ. ცუცქირიძემ, გ. მუჭლიძემ, მ. კაკურავამ, დ. ლაცაბიძემ.

სოფელ ნადაბურში რვაწლიანი სკოლის ახალი შენობის აგება მოითხოვეს ვ. ხაჩიძემ, ა. შუბითიძემ, გ. გელაშვილმა. — სოფელ კიცხში 800-მდე კომლი ცხოვრობს, მაგრამ არა გვაქვს ხეირიანი კლუბი. დეპუტატებმა სთხოვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ვეგმაში შეიტანოს - კიცხის 500-ადგილიანი სასოფლო კლუბის მშენებლობა, აღნიშნეს ამომრჩევლებმა ლ. გაგოშიძე, ს. ციმაკურიძე, მ. კვარიკაშვილმა, გ. ალალიშვილმა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა — დეპუტატებმა ამომრჩევლებს აღუთქვეს დახმარება მათთვის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

ქოტე მიქაბერიძე



გარდაიცვალა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის უხუცესი წარმომადგენელი, კინომსახიობი და რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე (ქოტე) არჩილის-ძე მიქაბერიძე.

ქოტე მიქაბერიძე ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში თეატრიდან მოვიდა, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ამ ახალგაზრდა ხელოვნებას დაუკავშირა და მალე მისი სახელოვანი მოღვაწე გახდა.

ეს იყო ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ფეხადგმის პერიოდი, 1921 წელი. ქართული კინემატოგრაფიის მუნჯი პერიოდის მსახიობ ვაჟთა შორის იგი მაყურებელთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. მის მიერ შექმნილი დღემდე დაუვიწყარი ეკრანული სახეები განაპირობებდნენ ამ სიყვარულსა და პოპულარობას.

მუშა რევოლუციონერი „ბრძენა ჯორჯიაშვილში“, იმამბირელი „ხამ სიცოცხლეში“, სპირიდონ მეცირეშვილი „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმეში“, სიკო „ვინ არის დამნაშავეში“, ზორსანი „დინა ძაძეში“, კოტე „ხანუმაში“, გიგა „ბოშურ სისხლში“, გალიფელი „ეკანასკნელ მასკარადში“, — ასეთის არასრული სია კოტე მიქაბერიძის მიერ ქართულ ფილმებში განსახიერებული სახეებისა. ეს სახეები გამოირჩეოდნენ სახიათების ღრმა გაგებით, მათი ეკრანულის შესანიშნავი ოსტატობით, ხატების ფერთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით.

კოტე მიქაბერიძის აქტიორულმა ოსტატობამ ერთხელ კიდევ ეკიოლეკა ფილმ „აკაკის აკვანში“, რომელშიც მან უბადლო შემოქმედებითი ოსტატობით წარმოაჩინეთ აკაკი წერეთლის გამზრდელის, უბრალო კოლეის პაპუნას ბედის სილრმეში ჩაშეწდომი სახე.

დიდია კოტე მიქაბერიძის დამსახურება ქართული კინორეჟისურის დარგშიც. მისი კომედიური ეკრანის ფილმი „ჩემი ბებია“ (1929 წ.) პირველი ქართული კინოსატირა იყო. ამავე პირიოდის მისი ფილმი „ბანანი“ (1932 წელი) სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პრობლემებს ეხებოდა.

1936 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეოდ კინოსტუდიის ხელმძღვანელობამ კოტე მიქაბერიძის მიანდო დიდი პოეტის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ეპიზოდზე შექმნილი „ექსპერიმენტალური“ ფილმის „ჭაბუკის“ დადგმა (1936 წ.). ეს იყო ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციის პირველი პრაქტიკული განხორციელება.

კოტე მიქაბერიძეს დამდგმელი სახელმეურნეო კინოკომედიისა „დაგვიანებული სახიძო“ (1939 წ.). მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „ფორპოსტი“ (1941 წ.), რომელიც ფაშისტ დამპყრობთა განდგურებისა და ხალხთა განთავისუფლების დიად მიზანს ემსახურებოდა.

ნორჩი მაყურებლების სიყვარულით სარგებლობდა კოტე მიქაბერიძის ნაწარმოები ფილმი „ზურიკო და მარიკო“ (1952 წ.).

კოტე მიქაბერიძეს ეკუთვნის 50-მდე ქართულად დუბლირებული ფილმი. იგი ავტორია ზოგიერთი ფილმის სცენარისა („ჭაბუკი“, „ჯალუსნური საოცარი“ და სხვ.) და ქართული კინოს პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატიებისა, რომელიც როგორც რუსულ. ისე ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.

კოტე მიქაბერიძე დიდი შემოქმედებითი ცხოვრების პარალელურად გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეც იყო. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდები დღეს ქართული საბჭოთა კინოს ოვალსაჩინო მუშაკები არიან.

კოტე მიქაბერიძე იყო საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი სექციის თავმჯდომარე, საქმიანი მონაწილეობა მუშაობის აქტიური მონაწილე, კინემატოგრაფისტთა კავშირის დუბლირებული ფილმების სექციის თავმჯდომარე და სხვ.

77 წლის ასაკში წაგიყვა ჩვენგან ნიჭიერი შემოქმედი, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე შესანიშნავი მოღვაწე. ნამდვილი მეგობარი და მოქალაქე, რომელმაც თავისი ცხოვრების ნახევარ საუკუნეზე მეტი ნაწილი შმობლიურ კინოხელოვნებას შესწირა. ქართული კინემატოგრაფიის მუშაკები, მეგობრები, ქართული კინოს ისტორია არასოდეს არ დავიწყებენ ამ ნათელ სსოვნას, მის შემოქმედებას და მოღვაწეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

კოტრიკაძე — „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის ოსტატი ალექსანდრე კოტრიკაძე.

ბრინჯაოს მედალოსნები

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გუშინ ჩემპიონატის მედლები გადაეცათ

◆

გუშინ ძერჟინსკის სახელობის ელტერის სახლში გაიმართა 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორის — თბილისის „დინამოს“ გუნდისადმი ბრინჯაოს მედლების გადაცემის საზეიმო საღამო.

დაწყებული 1936 წლის შემოდგომიდან თბილისის „დინამო“ მეთხუთმეტედ გახდა საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი, აქედან მეათედ — მესამე ადგილის ღირსეული მფლობელი.

...მსურველი აპოდოდისმენტი ბ ი ო შეხვდნენ მაყურებლები გუნდის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს, რომლებსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცათ 34-ე საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს დიდი და მცირე მედლები, მესამე ხარისხის დიპლომები, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ვიმპელები ნარწერით „1972 წლის ჩემპიონატის მესამე პრიზიორს“. სცენაზე ერთი მეორეს ცვლის 12 დინამელი: გუნდის კაპიტანი მურთაზ ხურცილავა, დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ზარბეგ ებრალიძე, გურამ ჰეტრაიშვილი, გოჩა გავაშელი, კახი ასათიანი, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუგეშავი, გივი ნოდია და დავით ყიფიანი.

ჯილდოები დინამოელებს გადასცა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების განყოფილების უფროსმა გ. ეპინაიჩევმა, რომელმაც ქართველ ფეხბურთელებს უსურვა წლევანდელ სეზონში „ბრინჯაო“ უფროო კეთილშობილი მედლებით შეეცვალოთ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სპორტასზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შაფარი, რომელმაც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საღამო, სიტყვას აძლევს სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კაჩალინს. მან ილაპარაკა „დინამოს“ შარშანდელ შედეგებზე, აღნიშნა, რომ გუნდს კარი პირსაპეტრეფები აქვს, დაწვრილებით დაახასიათა დინამოელთა ყველა მოთამაშე.

სიტყვები წარმოთქვეს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ ჯ. ბაჭანიძემ, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ბ. შარაშიძემ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ, პირველი მაისის რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. ლეონაშვილმა, სპორტასზოგადოება „გრანთიადის“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ბაჟანოვმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსმა ჯ. ბეგელიავ, თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ანთაძემ. ყოველი მათგანი გულთბილად მიესალმა ქართული ფეხბურთის მედროშეს, სამახსოვრო ადრესები და საჩუქრები გადასცა ფეხბურთელებს.

საღამოს დასასრულს ვ. შადურმა რესპუბლიკის სპორტული საზოგადოების სახელით, მადლობა გადაუხადა ბ. კაჩალინს, რომელიც პირადი თხოვნით განთავისუფლებულია გუნდიდან და რწმენა გამოთქვა, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ახალ სეზონში უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს და კვლავ გაახარებს ქართული სპორტის გულშემატკივრებს.

ო. ნოზაძე.

ალ. ბოჭორიშვილი — „ბოტანიკოსი“

ბოტანიკოსი ალ. ბოჭორიშვილი ბ. ბ. ბ.